ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი გაზეთი

სურათებიანი დამატება

135/2 N 403

გაზეთის № 231. კვირა, 13 თებერვალი 1911 წ. დამატების № 40

„აკკორდი“, — სურათი ჰესსლინისა.

სიჩუმის ანგელოზს

... და თუ ცა მეტყვის, დაასაბუთებს,
რომ ქარი ღრუბელს ჰფლეთავდა, ჰხევდა;
თუ სიყვარულის აგზნებულ წუთებს
გადასცვლის ჟამი, გადასცვლის სევდა;
თუ მოვსტყუვდები, თუ შენც გამწირავ,
თუ წუთით მოხვალ და გამიქრები;
თუ ტკბილ სიტყვებით გულს გამიგმირავ,
თუ ვერ მოგხიბლავს ჩემი ფიქრები;
თუ დაიმსხვრევა გრძნობათ ფანდური
და სისხლის ცრემლებს ცა დაგაპკურებს,
თუ ბოროტების სახე მაცდური
შენს სპეტაკ სულშიც დაისადგურებს
მაშინ... ოჰ, მაშინ დაე იქცეს მტვრად
ჩემი ლექსები სასიყვარულო,
მაშინ შენც ქნარო აკვნესდი მძლავრად,
დასჭკნი ოცნებავ, გაიპე გულო!

ი. გრიშაშვილი.

გრაფის ასული

(ნოველა მანისა)

(დასასრული *)

ნელის, მოკლე ნაბიჯით, დადის ყმაწვილი გრაფინია მზით გაბრწყინვალებულ ქვიშიან ზღვის ნაპირზედ, ხელში განიერ ყალთებიან ჩალის შლიაპით. ჩვეულებრივი უზრუნველი შეხედულობით იყურებიან იმისი თვალები და თითქოს ვერ ხედავენ თვალ გადაწვდენელ ზღვის ლაჟვარდ სივრცეს, მდელოთა ხავერდოვან ბიბინებას, ყოველი სიმშვენიერე ბუნებისა კვლავ მოკლებულია ამისათვის თავის წარმტაცებლობას, სიმშვენიერეს. ყოველივე ეს არაფერს ეუბნებიან ამის გულს და არცა რას გული უზიარებს მათ. ეხლა აღარ იკითხავს, რასაკვირველია, ადამიანები არიან მეთევზენი თუ არაო, მაგრამ ისევე შეუნიშნავნი დარჩნენ ისინი ამის თვალში, ისევე გაუგებარ ენაზედ ლაპარაკობენ ყველანი და ყველაფერი ამისთვის, როგორც წინათ და არც არა საშუალება რამ არის, რომ ამის ვასაგებ ენით აალაპარაკოს რამ ამისათვის.

დიახ, გაუგებარია ამისათვის ამის აღმზდელი ნემენცის ქალიც, რომელმაც ფრანცუზის ქალი შესცვალა, და თვით ძვირფასი ამის დედაც, გაგიჟებით უყვარს ამის დედის ალერსი, იმისი ჩურჩულით ლაპარაკი დაუვიწყარ მამაზედ, იმაზედ რომ ცხოვრება უნდა შეჩერდეს ძვირფასის კაცის სიკვდილზედ, მაგრამ კი აღარ სჯერა, რომ ცხოვრება უნდა შესჩერდეს, შევიწროვდეს... ამას ხშირად ეზმანება ცხოვრება გაბრწყინვალებული, მდიდრული, მშვენიერი, ათასფეროვანი ცვალებადის გრძნობებით და იკუნტება, სული უგუბდება ამ გაუნძრეველ ჰაერში, ამ სულშემხუთავ მოკლე ფარგლებიან დედის ოთახში. ამის ვიწრო ხვევნა-კოცნაში და გაუთავებელ მოგონებათა წამოყენებაში.

სულიერი მამა ყმაწვილ ქალს აშოშმინებს, ამშვიდებს ეუბნევა, რომ ამ გაუთავებელ სურვილებში ცოდვის ნატამალიც არ არისო, ძაგრამ ქალს ფიქრები აშინებენ. ეს დიდის ხნობით სდგას ხოლმე სარკესთან, მშვენიერ ძვირფას სარკესთან, როკოკოს სტილის შესანიშნავ ხელოვნებით გაკეთებულ სარკესთან, დედის ძვირფას ნაჩუქებთან და ღრმად ჩაფიქრებული ამოწმებს თავის მგზავრებს თავის დედასთან, ნუ თუ დედის თვალებივით დაჭკარგავენ ელვარებას ამის თვალებიც, ამისი ოქროსავე პრწყინავი და ხშირი თმები მიმქრალდებიან და უსიცოცხლოდ, უმხიარულოდ გავატარებ ჩემ დღეთ?..

შიშით, გულ-გახეთქილი, შეწუხებული დაეცემოდა ხოლმე მუხლებზედ თეთრი სპილოს ძვლის ჯვარცმულთან და ვაებით შეჰლალადებდა იმას და მდუღარებით სცდილობდა გაექარვებინა თავისი შავი ფიქრები.

როდესაც ქალი დაბრუნდა ტყეში სეირნობიდგან, ის მაშინვე დაუძახეს დედასთან საუზმეზედ. დედა მისი დღეს უკეთ გრძნობდა თავს. საუზმის შემდეგ ხელი მოხვია თავის ძვირფასს და არა ჩვეულებისამებრ კარზედ გაიყვანა.

— ჩემო ელენე—უთხრა დედამ—ხვალ ჩვენ სტუმარი გვეწვევა.

— სტუმარი! ჩვენთან სტუმარი?

— შენ გაშინებს ეგ შემთხვევა, ჩემო საყვარელო?

— არა, დედა, მაგრამ ჩვენსა რომ თავის დღეში არ ყოფილა სტუმარი.

— ჩვენსა ფლორენციიდან მოვა მექანდაკე, რომელსაც მინდა რამ შეუკვეთო. იცი, ჩემო ელენე, მალე შენ თხუთმეტის წლისა შესრულდები; თითქმის გასათხოვარი შეიქმნები. დროა შეიგნო და კარგად შეითვისო, რომ ქვეყანაზე არ ყოფილა და არც იქნება მამაშენზე უკეთესი, უმალლესი და უმშვენიერესი ქმნილება. ამის გარდა მამაშენი ჩვენთვის ძვირფასი ერთი კიდევ იყო რომ ის ჩვენის ძველის-ძველის და შესანიშნავის ჩამომავლობისა უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. ამისათვის იმისი ხსოვნა ჩვენთვის განუწყვეტელი უნდა იყვეს და ისე უნდა ვადიდებდეთ, როგორც უდიდეს წმინდანს. ვიცი, ჩემო გოგონავ, რომ შენც ამასვე ჰფიქრობ და გრძნობ, რასაც მე. უამისოდ ხომ არც ჩემი ქალი იქნებოდი, მაგრამ სჯობია ადამიანს ყოველთვის თვალწინ ედგას თავისი სამლოცველო საგანი, თავისი გულის სადიდებელი. ამისათვის მინდა რომ სახელგანთქმულმა მექანდაკემ გააკეთოს მარმარილოს ქანდაკება მამის შენისა, მთელის ტანის სიდიდისა, შენ ოთახში დასადგმელად, ჩემო ელენე.

თავ აუღებლივ დეეყრდნო ელენე დედის მხარს, კმაყოფილმა დედამაც შვილის თანაგრძნობით, თავისის თლილის თეთრის თითებით ალერსით დაუწყო კისერზე ბუსუსზე ხელის სმა.

* *
*

— თქვენ ფლორენციიდგან ბრძანდებით, ბატონო პროფესორო?—ჰკითხა ელენემ მოქანდაკეს, როდესაც ის მოურიდებლივ მიუახლოვდა ამას სეირნობის დროს.

მოქანდაკე ოცდა ათი-თორმეტი წლისა იყო მაღალი, ლონიერი, ძარღვებიანი, ალის პირის ფერით და მძლავრის გამოხატულობით. ოდნავ გაჭაღარებული ხშირი თმა მხრებზე ეფინებოდა მოკლე, პატარა წვერი უმშვენებდა გონიერ პირი სახეს. შავი, სიცოცხლით სავსე თვალები აგვირგვინებდნენ საერთოდ მის ცხოველმყოფელ შეხედულობას.

— დიახ, ფლორენციიდან, გრაფინია!—უპასუხა იმან ელენეს.

— ამბობენ ძრიელ ლამაზი და შესანიშნავი ქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიაო?

— როგორ თუ „ამბობენ“? განა თქვენ თითონ კი არ გინახავთ?

— თავის დღეში იქ არა ვყოფილვარ.

— ნუ თუ ეგ შესაძლებელია, გრაფინია? ის ხომ ასე ახლოა აქედან!

— დედას არ უყვარს ახლო-მახლო ალაგებშიაც მოგზაურობა. ან რად უნდა წავიდეთ? რას გავაკეთებ იქ?

— როგორ თუ „რად“? თუნდ იმისათვის, რომ ეჩვენოთ ქვეყანას! მაპატიეთ, გრაფინია, მაგრამ ნუ თუ არ იცით რომ თქვენისთანა სილამაზის პატრონი იშვიათი საპოვნელია?—თან აათვალიერ ჩაათვალიერა ქალი და მხიარულად განაგრძო:

— როგორ ვწუხვარ რომ ამ უკანასკნელ „კარნავალის“ დროს არ იყავით ფრლორენციაში! რა მშვენიერი ბოტტიჩელი იქნებოდით, მერე ეხლა რა ნაირად უყვართ ფლორენციაში! წარმოიდგინეთ დიდი უშველებელი, სხვა და სხვა ფეროვნების ხალხით შემდგარი გუნდი, მოგეგებებოდათ ახტაცებით, როდესაც თქვენ კარეტაში ჩაჯდებოდით, ახტაცებული ხმაურობა, გაკვირვება, თაყვანება და ქება-დიდება სინორჩეს და მშვენიერების...

მოქანდაკე გატაცებით ლაპარაკობდა, ხმა მაღლივ, წკრიალა ხმით და მოხდენილ თავისუფალ ხელების ქნევით. ელენე ყურს უგდებდა თვალ-დახრილი. წამით ლოყები შეუწითლდა—ისეთის ძლიერებით და სინამდვილით წარმოუდგა მხატვრულად ახწერილი სურათი; მაგრამ მალე იმისმა სახემ ჩვეულებრივი გამოხატულობა მიიღო, ის გამოხატულობა, რომლითაც უსმენდა ხოლმე თავის დედის ნაანბობს, როგორც ლამაზსა და შორეულს ზღაპარს, მხოლოდ ქალის სახეს არ ჰქონდა ის სევდიანი შეხედულობა, როგორც ყოველთვის: პროფესორთან ყოფნის დროს ძნელი იყო მისცემოდა სევდას კაცი.

ამ კაცთან ერთად თვით სიცოცხლე შემოიჭრა ძველ, მოხუშულ სასახლეში. ეს მხარ-ბეჭიანი, მაღალი, სიცოცხლით სავსე, რიხიანის ხმითა და სიცილ-ხარხარით აღსავსე ადამიანი, აქაურს, ყოველთვის მიყუჩებულ ცხოვრებას აცოცხლებად. მთლად გამოცოცხლდა მეტადრე მარცხენა ფლიგელი სასახლისა, სადაც მიქანდაკეს გამართული ჰქოხდა საბელოსნო.

დიდი, დიდებული და დალვრემილი სასადილო ოთახი, სადაც დედა-შვილნი დიდის ხნით არსად დაჰყოფდნენ ხოლმე, სადაც ყველანი ფეხ-აკრეფით დადიოდნენ და დაბალის ხმით ლაპარაკობდნენ, ეხლა მთელს საათობით ახმაურდებოდა ხოლმე, პროფესორის გონივრული ნაანბობით ქვეყნიერებაზე, მოგზაურობაზე, ქვეყნის ავსა და კარგზე, ადამიანთა ფიქრთა და საქმეზე ბაასით.

პროფესორი თითონ მოძრაობა და სიცოცხლე, სუყველგან მოძრაობას და სიცოცხლეს სთესავდა. გაცოცხლდნენ სასახლის კედლები, გაიღვიძეს მრავალ მოსამსახურეთ, რომელნიც გასაოცარის სისწრაფით ასრულებდნენ პროფესორის ყოველ ბძანებას, გამოცოცხლდა თვით დედაც.

ყოველ დილით პროფესორი თან დასდევს ელენეს სასეირნოდ. ყოველთვის უცდის გრაფინიას სადმე ბაღის კუნჭულში და თუ არ უცდის, ელენე ტაშის ცემით იწვევს იმის სამუშაო დარბაზიდან და ისიც მხიარულად უძახის იქიდგან:

„ეხლავე, ეხლავე! მხოლოდ ხელებს გადავიბან“! ერთ წამს შემდეგ ისინი მხიარულად მიაბიჯებენ ზღვის პირისაკენ და სახლში თავის დროზე იშვიათად ბრუნდებიან.

რა ნაირად გართულდა ეს სასეირნო ალაგები! იგივე ტყე, იგივე ზღვის ქვიშიანი ნაპირი, მაგრამ რა რიგ სასიამოვნონი შეიქმნენ, როგორ სხვა ნაირად გამოიყურება ყოველისფერი და რა სასიამოვნო ხმები მოისმის ყოველ მხრიდგან. ყველა ეს ცვლილება მოხდა არა განძრახ, არამედ გულწრფელის წარმოთქმით პროფესორისაგან თავისის შთაბეჭდილებისა. გრაფინიას თვალები აეხილა და გაოცებით დაინახა, რომ ქვეყანა მშვენიერია და მდიდარი, რომ ფერადები და ხმები—შეუდარებელია.

ისინი მიდიოდნენ ხოლმე შორ სოფელშიაც და ყოველ ნაბიჯზე ყოველ წამში გრაფინიას თვალთ-საზრისი იცვლებოდა. უბრალო, მეთევზეთა ვინაობა სრულად გამოირკვა იმის თვალებში, იმათი უბრალო და შრომით სავსე სიცოცხლე ცხოველი და აზრით სავსე ქალის თვალში. იმისთანა უბრალო საქმე, როგორც თევზის ჭერა, აზრიან მოქმედებად გადაიქცა. როგორ სუყველაფერი მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა ერთმანეთთან, ცხოვრება და შრომა, ბუნება და ხალხი, ხელოვნება და მშვენიერება... ყმაწვილი განდეგილი ჯერ ვერ მიმხვდარიყო, თუ რა ბევრი რამ არის საჭირო ცხოვრებისთვის და გაკვირვებული იყო, რომ ბედნიერებისათვის ასე ცოტა რამ აღმოჩნდა საჭირო.

მოქანდაკე ითვრებოდა „ოქროს წკრიალა დასავლეთ“ ზღვის „მძლავრის დამლაშებულის სუნთქვით“ და იწყობდა ხოლმე ნაპირზე სირბილს, როგორც პატარა მოწაფე, გორაობდა ტყის მწვანით მოცულ მოლზე. დარბოდა, არბეინებდა ელენესაც, იჭერდა და თავსაც აჭერინებდა. ელენეს ფერმკრთალ ლოყებზედ ვარდის ფურცლები ვადიშალა, მალალი, თავისუფალი ხარხარი ამოჰხდა გულიდგან, მოძრაობა გაუმხნევდა. ხანდისხან, ჩვეულებრივ, მიყუჩდებოდა ხოლმე ელენე, მაშინ პროფესორი თვალებში შეჰხედავდა და ეტყოდა:

— კიდევ მოიღრუბლეთ, კონტესინა? Govera contessina! რა გაქვთ დასაღონებელი? აბა აქეთ-იქით მიიხედეთ.

და დაიწყებდა მშვენიერის ლექსების წარმოთქმას, ან სიმღერის—პრწყინვალეს, ძრიელს, შემძლებელს ნამდვილს ჰიმნს სიცოცხლისას...

— როდის მიჩვენებთ თქვენ ნამუშავარს, პროფესორო?—ჰკითხა ერთხელ ელენემ, როდესაც სეირნობიდან ბრუნდებოდნენ, ხელი-ხელ გაყრილნი და ბევრს სირბილით დაღალულნი და გაწითლებულნი.

— მაშინ, როდესაც სრულიად დავამთავრებ, კონტესინა. მე სასტიკად მაქვს აკრძალული მისი ადრე ჩვენება.

— მაშ, მხოლოდ თქვენი წასვლის შემდეგ ვნახავ?

— დიდი დრო არ გავა. ორი დღის შემდეგ გამოგესალმებით, კონტესსინა.

— როგორ?.. ორი... დღის შემდეგ?!..

— დიახ, საქმე მარტო ორი დღის სამყოფი ღა დამრჩა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე გაცილებით მეტი დრო მოვინდომე მამათქვენის ბიუსტზე, მინამ საჭირო იყო...

— განა არ შეიძლება აქ დარჩეთ? ისე უსაქმოდ?..

— არ შეიძლება, კონტესსინა—სთქვა პროფესორმა სიცილით—მე სხვა საქმეები, მოვალეობანი მიმელის; მე რომ აქედან მეძნელება წასვლა, ეს კი თქვენ კარგად უნდა გესმოდესთ...

უკანასკნელი სიტყვები იმან ოდნავ წარმოსთქვა და გაჩუმდა.

სდუმდა გრაფინიაც, ის თავ ჩაღუნული უსიტყოდ მიაბიჯებდა და სახლამდინ მდუმარება არც ერთს აღარ დაურღვევიათ. ქალი მთელი გზა სულ იმას ფიქრობდა, თუ რა მოხდებოდა მოქანდაკის წასვლის შემდეგ. შემდეგ ორ დღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც სულ ამაზე ფიქრობდა, რადგან პროფესორი სახელოსნოდან იშვიათად გამოდიოდა.

მეორე დღეს საღამოს საქმე უკვე გათავებული იყო და პროფესორი ქალებთან გამოსამშვიდობლად შემოვიდა. ბარგი კიდეც გეესტუმრებინა რკინის გზის სადგურზე. თითონ კი ფეხით აპირებდა გავლას და დათვალიერებას იმ მშვენიერის ალაგებისას, რომლიც ასე შეუყვარდა აქ ყოფნის დროს.

კონტესინამ პროფესორის გაცილება უკანასკნელად მასთან მოისურვა და დედამაც ნება დართო.

მალალი, თვალ აუწვდენელი ნაძვები, მათ თავებ შუა ბრწყინვალე მზის ჩამონათებული შუქი, დაბურულ ტყეში, დამდნარი ოქროს მგზავრი დასავლეთის მზე ზღვის ტალღებში, მლაშე სუნი ზღვის ზვირთებისა... ყველა ის რაც ასე მძლავრად შეაყვარა პროფესორმა ქალს...

სადგურს მიუახლოვდნენ. პროფესორმა დუმილი დაარღვია.

— თითქმის ექვსი კვირა გავატარე აქ მყუდროებაში თქვენთან, კონტესსინა. და აი მე ვუბრუნდები ხმოვან ღვთის გაჩენილ ქვეყანას. ეაგრამ... დამიჯერეთ, კონტესსინა!— ვერავითარი ხმაურობა ვერ დამავიწყებს იმ ძვირფას კვირეებს, რომელიც აქ მარტოობასა და მდუმარებაში გავატარე.

— დიახ, აქ მდუმარებაა და მარტოობაა...

— მაგრამ ამ მდუმარებასა და მარტოობას აცხოველმყოფებს შეუდარებელი ქმნილება, რომლის ბადალი არ შეიძლება აქ ამ სიცოცხლით სავსე ქვეყანაში და არც შეიძლება რომ მოიძებნებოდეს. მე ვფიქრობ, კონტესსინა, რომ ეს საუკეთესო არსება ვერც აიტანდა იქაურ ცხოვრების დაუდგომელ ტალღებს, იქაური ცხოვრება მეტად ტლანქი და აუტანელი იქნებოდა ამ მზეთ უნახავისთვის...

კონტესინამ თავი მაღლა აიღო და პროფესორს დაშტერებით ჩააცქერდა თვალებში. რამდენი სიკეთე და კეთილი სურვილი გამოიხატებოდა იმის თვალებში! ის დაიხარა და ემთხვია კონტესინას უმანკო ხელებს.

— მადლობელი ვარ... მშვიდობით!..—ხმის თრთოლვალებით წაიბუტბუტა ქალწულმა.

— მშვიდობით!

ერთხელ კიდევ მიიხედა კონტესინამ უკან, პროფესორმა ქუდი მოიხადა, ქალმა წყნარად თავი დაუქნია და ნელ-ნელა წავიდა იმ გზით, რომლითაც უკანასკნელად განვლო იმასთან.

— ეხლა რა ღა იქნება? შინ უნდა დავბრუნდე? არა, არას გზით, მე შინ დაბრუნება არ შემიძლიან.

სული ეხუთება, თვით თითქო დაცარიელდა, მხოლოდ იმას ღა ჰგრძნობს კონტესსინა, რომ სახლში დაბრუნება ამისათვის შეუძლებელია—დაუსრულებელი სიმარტოვე, სულის შემხუთი ერთფეროვანი სიცოცხლე, შეუძლებელია!..

— „შენ ხარ არსება არა ამ ქვეყნიური“ იძანა სთქვა. მაშ, მე უგვამო ზღაპრული, ჰაეროვანი ფერია ვარ! მაშ სად უნდა ვიცხოვრო თუ არა მუდამ მშფოთავ ქვეყანაზე?

მაშ, რატომ ისიც არ დარჩა აქ, ამასთან, თუ მუდამ მშფოთავი ქვეყნის ცხოვრება იმისთვის არ არის გაჩენილი?..

ამ აზრმა შეაკრთო ქალწული. შესდგა და პირზე ხელები მიიფარა. სუყველაფერი, სუყველაფერი, ყველა ეს ფიქრები—ხომ დიდი ცოდვაა...

— „ღმერთო, მაპატიე!.. დამეხმარე!..—გრძნობით წარმოსთქვა ქალმა—„და თუ... შთამაგონე და გამკურნე! ან იქნება იქ ცოდვა არ არის, უფალო“?..

ელენემ შეუმჩნევლად გზას გადუხვია და გვერდის ბილიკით დაცარიელებულ მოქანდაკის სახელესნოში შევიდა. გულის ფანცქალით აირბინა კიბე და შემკრთალი, გასახტებული გაჩერდა: იმის წინ თითქო დედა-მიწიდგან ამოიზარდა თეთრი, უძრავი არსება საღამოს ხშირ ბინდით მოცული... მამის ქანდაკება.

— არა, არა! შორს აქედგან!

და სულის ამოუსუნთქავად ჩაირბინა კიბე და შეუსვენებლივ, უკან მიუხედავად, მოუაზრებლივ გაიქცა. მხოლოდ ეხლა მოაგონდა ის წარსული დიდი ხნის დრო, როდესაც ეს რვა წლის ბავშვი ბაღში პირველად გაუშვეს სათამაშოდ, მარტოდ-მარტო, უგუვერნანტკოდ მიატანდა ისიც მშვენიერ თეთრ პეპელას, გამოუდგა და ამის ხელს გადურჩა მხოლოდ იმ გზით, რომ აქ ხეებ შუა მივიწყებულ ჭაში ჩავარდა...

ეხლაც ელენე ამ მაყვლის ბუჩქეფთან იდგა და წინ მივიწყებული ჭის პირი იყო შავად დაღებული... უცებ იმან იგრძნო, თითქო ის მოუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა საშინელის მწუხარებით: „Govera contessina!..“

ქალმა ტუჩები ჩაიკვნიტა და ჩაფიქრებულმა ჭას გარს შემოუარა ერთხელ, ორჯელ, სამჯერ...

— Govera contessina!.. — კვლავ გაისმა იმის ყურებში... წყნარი, მწუხრი საიდუმლო, როგორც ოხვრა, როგორც ტკბილი ალერსი.

— Contessina! Contessina! მოისმა შორიდან ძახილი გუვერნანტკისა, რომელიც იმას დეეძებდა.

ერთის ხტუნვით გადაევლო ქალი, ცოტად ამაღლებულ ჭის პირს და მის ბნელ სიღრმეში მიიმალა. ჭის წყალი არც კი შეირყა და არ შეჭკრა კამარა იმის სუსტ სხეულზე, რაც უეცველად მოხდებოდა ზღვას რომ მისცემოდა, მაგრამ საწყალი კონტესსინას წილად არ ჰხვდა ზღვის ფართე გულზე გაფთხრიალება, როგორც არ ჰხვდა წილად ეგემა ხმა ცხოვრებისა, მის ფართე ტალღათა სრბოლა...

ეკ. გაბაშვილისა.

— შვილო, მხატვარს ამ სურათზე მამალი დაუხატავს, მაგრამ მკვდარი რად არ არის?

— მამა, ეს ხომ მამალი არ არის—შლიაპაა!

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხონელაშვილი. მადათოვის კუნძული, ხტამბა „ხორაპანი“ ტელეფონი № 539